საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №35

2019 წლის 25 სექტემბერი

ქ. თბილისი

სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის დადგენისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 21^1 მუხლის 2^1 პუნქტის, 2^2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 02 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის დადგენისა და დაკისრების წესი“ თანდართული სახით.

მუხლი 2

ამ ბრძანებაზე თანდართული წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმების დაკისრება განხორციელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის **დავით ონოფრიშვილი**
სამსახურის უფროსი

სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის დადგენისა და დაკისრების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) მიერ სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის დადგენისა და დაკისრების საკითხებს.

2. სამსახური უფლებამოსილია სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ სადაზღვევო ბროკერმა ან/და მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა დაარღვია:

ა) „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი დებულება ან სამსახურის რომელიმე ნორმატივი, ინსტრუქცია, წესი, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;

ბ) ანგარიშგების წარდგენის წესი ან ვადა, ან/და წარადგინა არასწორი ანგარიშგება ან სხვა არაზუსტი ინფორმაცია;

გ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნები.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 31 იანვრის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 01.02.2024წ.

მუხლი 2. სადაზღვევო ბროკერისათვის ან/და ადმინისტრატორისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმა

1. დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე სამსახურის მიერ დადგენილი კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობის ფლობის ან/და განთავსების წესის დარღვევის გამოვლენისას, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

2. სამსახურის მიერ დადგენილი სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის გარეშე საქმიანობის ან/და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. ყოველწლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მოუმზადებლობისა ან/და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ან/და დადგენილი წესით სამსახურისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

4. სამსახურის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ანგარიშგების დადგენილი წესით და/ან დადგენილ ვადებში სამსახურში წარუდგენლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

5. სამსახურის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ანგარიშგების ფორმაში არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

6. სამსახურში წარმოდგენილ ანგარიშგების ფორმებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული ანგარიშგების მითითებულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

7. კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი და მომხმარებლისათვის განკუთვნილი ანგარიშების წარმოების ან/და მათი გამოყენების წესის დარღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

8. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი დებულების, სამსახურის რომელიმე ნორმატივის, ინსტრუქციის, წესის, მოთხოვნის, წერილობითი მითითებების შეუსრულებლობისათვის ან/და სამსახურის მიერ კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილი დოკუმენტების/ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის თითოეულ ფაქტზე, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

9. დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას, დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, მასში ცვლილებების შეტანისას კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის მომხმარებლისათვის არასრულად მიწოდების და/ან მიწოდების წესის დარღვევის თითოეულ ფაქტზე, სადაზღვევო ბროკერი ან/და ადმინისტრატორი ჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2[1]. სადაზღვევო ბროკერისათვის ან/და ადმინისტრატორისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად გამოცემული სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (შემდგომ – ფინანსური მონიტორინგის სამსახური)/სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად გამოცემული ფინანსური მონიტორინგის სამსახურის/სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ბროკერი ან/და მისი ადმინისტრატორი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

ა) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობის შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) საეჭვო ან/და უჩვეულო გარიგებასთან (ოპერაციასთან) დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებების არასათანადოდ განხორციელების/განუხორციელებლობის შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

გ) მფლობელობის და კონტროლის (მმართველობის) განმახორციელებელი სტრუქტურის დადგენის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის გარეშე ან/და კანონმდებლობით დადგენილი იდენტიფიკაციის ან/და ვერიფიკაციის წესის დაუცველად კლიენტთან (ასევე მისი სახელით მოქმედ პირთან) საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, თითოეულ კლიენტთან მიმართებაში;

დ) სიცოცხლის დაზღვევით (საინვესტიციო ხასიათის) მოსარგებლის/სავარაუდო მოსარგებლეთა წრის (მათ შორის, მისი ბენეფიციარი მესაკუთრის) მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოდ განხორციელების შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ პირთან მიმართებაში;

ე) მომეტებული რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიმართ, კანონმდებლობით გათვალისწინებული გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოდ განხორციელების შემთხვევაში – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ კლიენტთან მიმართებაში;

ვ) პოლიტიკურად აქტიურ პირთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ პირთან მიმართებაში;

ზ) გარიგების შეჩერების თაობაზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითების შეუსრულებლობისთვის – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

თ) ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ი) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებულ სანქციადაკისრებულ პირთან განხორციელებული ოპერაციების (გარიგების) გამოვლენის შემთხვევაში – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

კ) სადაზღვევო ბროკერის ადგილზე შემოწმების დაწყების თარიღისთვის კლიენტს არ აქვს მინიჭებული რისკის დონე – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ კლიენტთან მიმართებაში;

ლ) ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტების დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე:

ლ.ა) 5 სამუშაო დღემდე დაგვიანებისათვის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ლ.ბ) 5 და მეტი სამუშაო დღით დაგვიანებისთვის – 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მ) ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტების წარუდგენლობის გამოვლენის ან არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ნ) სადაზღვევო ბროკერის ადგილზე შემოწმების პროცესში მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტების სამსახურისათვის დადგენილი წესით და/ან დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ან არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე; იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით,

დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ო) სამსახურის მიერ შემოწმების შედეგად გაცემული წერილობითი მითითების არაჯეროვანი შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

პ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვისა და/ან შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ჟ) შესაბამისობის კონტროლის სისტემის არქონის, შიდა კონტროლის არასათანადოდ განხორციელების/განუხორციელებლობის ან/და შესაბამისი პროცედურებისა და წესების მიღების ან/და დაცვის ვალდებულების სისტემატური დარღვევის შემთხვევაში – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

რ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა აღრიცხვისა და დამუშავების სათანადო ელექტრონული სისტემის არქონის შემთხვევაში – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 31 იანვრის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 01.02.2024წ.

მუხლი 3. ფულადი ჯარიმის აღსრულების წესი

1. სადაზღვევო ბროკერისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე სამსახური გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურის უფროსის ბრძანების სახით, რომელშიც მითითებულია მისი აღსრულების წესი.

2. სადაზღვევო ბროკერისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ სამსახურის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი სადაზღვევო ბროკერისათვის გაცნობისთანავე.

3. სამსახური უფლებამოსილია ამ წესის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის აღსრულება უზრუნველყოს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული გასაჩივრების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ.

4. სადაზღვევო ბროკერისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ფულადი ჯარიმა იძულებით აღსასრულებლად მიიქცევა კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

5. ამ წესის შესაბამისად სადაზღვევო ბროკერის მიერ გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხა მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.